ოქმი:**ო12. 3724017001**

თარიღი:**17/01/2024**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 16 იანვარი
ქ.ოზურგეთი
16.00-16.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, ს. ქარცივაძე, ხ. თავდიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო 2024 წლის სამუშაო გეგმა და კომისიაში შექმნილი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება სამუშაო გეგმა წარუდგინონ მუნიციპალიტეტის ბიუროს უახლოეს სხდომას დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს ასევე გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების შესახებ“.

გადაწყვიტეს:

1.კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. N 2 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი